ორნი მომტერენი

იყვნენ ორნი მომტირენი. არ იქმნა, ვერა დააკლო რა მან კაცმან მის მტერსა.

გამოხდა ხანი. დამოყვრდენ, დიდად გაიწყვნენ. წავიდენ გზასა და ოთხნი ამხანაგნი სხვა გაიტანნეს.

მივიდნენ ერთი კაცის სახლში და დადგნენ. ეს სტუმრები გამოღმართ დაწვნენ და სახლის პატრონი მისის ცოლით გაღმართ დაწვა.

რა ცეცხლი დანელდა, აიპარა ეს კაცი და მას დიაცთან განსვენება მოინდომა. დიაცმან დაიძახა, ქმარი წამოაყენა. კაცი იგი გაიპარა და მუნვე თავის ლოგინში დაწვა.

ადგა სახლის პატრონი, მივიდა, ეს სტუმრები დაჩხრიკა. გულში ყველას ხელი ჩაუყო. ბნელა იყო, სხვით ვერათი იცნა, და შემცოდეს გული უძგერდა. ზედ ქუდი ნიშნად დაადვა, ცეცხლს დავანთებ და ამ კაცს ვსცნობო.

იგი კაცი ეირემ ცეცხლს დაანთებდა, მან კაცმან ქუდი თავისაგან აიღო და მას ძველთაგან მტერს და ახალს მოყვარეს დაადვა. მას გულით ეძინა, ვერა შეიგნა რა.

ცეცხლი აანთო, ნახა ამ საბრალო უბრალო კაცს ქუდი აძევს. მან მისი უბრალობა რა იცოდა, შემცოდე იგი ეგონა. დაჰკრა თავში ცული და მოკლა უბრალო დაუნაშავებელი კაცი.

ყოველი მტერი ასრე იზამს, თვარა რით მომეხმარა, გრძნების ქმნა და ეშმაკობა შემომითქვა.

თქვა კიდევ ლეონ არაკი: